გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 110

2022 წლის 10 ივნისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გვანცა ტარუაშვილს შორის 2020 წლის 29 ივნისს გაფორმებული №5 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის № 4 განკარგულების საფუძველზე, აუქციონი შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გვანცა ტარუაშვილს შორის 2020 წლის 29 ივნისს გაფორმდა №5 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ქუჩა სუხიშვილი, მიმდებარე, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 80 კვ.მ; ს/კ 66.45.10.626) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში, ამასთან, მშენებლობის წარმოება შესაძლებელი იქნებოდა სპეციალურ ზონაში დადგენილი ნორმების შესაბამისად.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია გვანცა ტარუაშვილის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ არსებული პანდემიის გამო და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ განხორციელდა სამუშაოების დასრულება და შესაბამისად - პირობის შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გვანცა ტარუაშვილი ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას ერთი წლით, რაც გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გვანცა ტარუაშვილს შორის 2020 წლის 29 ივნისს გაფორმებული №5 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ქუჩა სუხიშვილი, მიმდებარე, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 80 კვ.მ; ს/კ 66.45.10.626) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გვანცა ტარუაშვილს შორის 2020 წლის 29 ივნისს გაფორმებული №5 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ქუჩა სუხიშვილი, მიმდებარე, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 80 კვ.მ; ს/კ 66.45.10.626) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

საქართველო
GEORGIA
GORI MUNICIPALITY ASSEMBLY
218086087